

ენი ბლოკონი

ცნობილი სუბიექტი

ისევ პირინის გუნდულზე

ინგლისურიდან თარგმნა
ნიკა სამუშიამ



სულაკაურის
გამომცემლობა

ენიდ ბლაიტონი

ისევე კირინის კუნძულზე

მთარგმნელი ნიკა სამუშია

რედაქტორი ლელა ტულუში

დიზაინერი ია მახათაძე

ტექნიკური დიზაინერი თინათინ პერბერაშვილი

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65

ელფოსტა info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-306-7

Enid Blyton

THE FAMOUS FIVE

First published in Great Britain in 1946 by Hodder and Stoughton

Text copyright © Hodder and Stoughton Limited, from 1977 edition

Cover illustration and portrait of Enid Blyton by Laura Ellen Anderson

copyright © Hodder and Stoughton Limited

All rights reserved.

Georgian translation copyright by Sulakauri Publishing, 2019

www.sulakauri.ge

შინაახსნი

პიჩვიანი ტაპი	ჯოხჯი წეხილს იღებს.....	5
მომხა ტაპი	ისევ კიხინის კოგეჯში.....	13
მასამა ტაპი	კიხინის კუნძულზე გამგზავება.....	21
მომთხა ტაპი	სად აიხს ძია კვენგინი?	29
მეხუთე ტაპი	საიდუმლო	37
მეექვსე ტაპი	კლდის თავზე.....	45
მეშვიდე ტაპი	წაკინკლავება.....	53
მეხვამე ტაპი	ქვის სამგებლოში.....	61
მეცხე ტაპი	ჯოხჯი ხალაცას პოულობს... და ბახზდება.....	69
მეათე ტაპი	მოულოდნელი სიგნალი.....	77
მეთექვსმეტი ტაპი	ჯოხჯი მძიმე გადაწყვეტილებას იღებს	85
მეთოთხმეტი ტაპი	ისევ ძველი ხუკა	93
მეცამეტე ტაპი	მაგიწინთან.....	100
მეთოთხმეტი ტაპი	ჯოხჯი შეშფოთებულია.....	108
მეთხუთმეტი ტაპი	შულამისას.....	115
მეთექვსმეტი ტაპი	გამოქვაბულებში.....	122
მეჩვიდმეტი ტაპი	ჯოხჯი გიშს პოულობს.....	129
მეთხვამეტი ტაპი	დიდის ხუთის ნახევაზე.....	137
მეცხეამეტი ტაპი	შეხვედია მაგიწინთან.....	143
მომცამე ტაპი	ვითაიება იძაბება.....	151
მოცდამეათე ტაპი	თავდადასავლის დასასხული.....	159

პიხვედი თავი

ჯოჯი ნეხილს იღებს

ენი განცალკევებით იჯდა და მეცადინეობდა, როცა საერთო ოთახში მისი ბიძაშვილი ჯორჯი შემოვარდა.

ჯორჯი ბიჭი კი არა, გოგო იყო, რომელსაც სინამდვილეში ჯორჯინა ერქვა, მაგრამ რადგან ბიჭობა ძალიან უნდოდა, დაჟინებით მოითხოვდა, ჯორჯი დამიძახეთო, და ასეც ეძახდნენ! მას მოკლედ შეჭრილი, ხუჭუჭი თმა და ლურჯი თვალები ჰქონდა. ახლა კი, როცა ენისთან მიიჭრა, იმ ლურჯ თვალებს ბრაზიანად აბრიალებდა.

– ენი, ახლახან შინიდან წერილი მივიღე. თურმე მამაჩემი მნიშვნელოვან რალაცაზე მუშაობს და უნდა, რომ ჩემს კუნძულზე გადასახლდეს, წარმოგიდგენია? თანაც ციხესიმაგრის ეზოში კოშკის აშენებას აპირებს!

სხვა მოსწავლეებმა გაკვირვებით შეხედეს ჯორჯს, რომელიც წერილს ბრაზიანად აფრიალებდა.

კირინის ყურეში მდებარე ჯორჯის პატარა კუნძულის შესახებ ყველამ იცოდა, რომლის შუაგულშიც დანგრეული ციხესიმაგრე იდგა: კურდღლების, თოლიებისა და ჭკების სამყოფელო.

ციხესიმაგრეში მიწისქვეშა დილეგები იყო, სადაც ჯორჯსა და მის ბიძაშვილებს ერთი-ორი შესანიშნავი თავგადასავალი გადახდენოდათ. წინათ კუნძული დედამისს ეკუთვნოდა, მან კი ჯორჯს აჩუქა. ჯორჯი თავის ძვირფას კირინის კუნძულს ძალიან უფრთხილდებოდა! ამ კუნძულზე არათუ ცხოვრება, მის უნებართვოდ ფეხის დადგმაც კი ყველას ეკრძალებოდა.

ახლა კი, წარმოიდგინეთ, მამა მის კუნძულზე დასახლებას აპირებდა, თან იქ ლაბორატორიის მოწყობასაც გეგმავდა! ჯორჯს აღშფოთებისაგან სახე უხურდა.

– უფროსებმა ასე იციან: ჯერ ადგებიან და რამეს გაჩუქებენ, მერე კი ისე იქცევიან, თითქოს ეს რამე ისევ მათი იყოს. სულაც არ მინდა, რომ მამაჩემმა ჩემს კუნძულზე იცხოვროს და იქ თავისი სულელური ლაბორატორიები მოაწყოს.

– ოჰ, ჯორჯ, ხომ იცი, რომ მამაშენი ძალიან ცნობილი მეცნიერია და სიმშვიდეში მუშაობა სჭირდება, – ენიმ ჯორჯს წერილი გამოართვა, – არაფერი დაშავდება, თუ კუნძულს ცოტა ხნით დაუთმობ!

– სიმშვიდეში მუშაობა სხვაგანაც შეუძლია, – მოუჭრა ჯორჯმა, – არადა, ვფიქრობდი, კუნძულზე აღდგომის არდადეგებს ჩვენ გავატარებდით; როგორც წინათ, ახლაც ნავით ნავილებდით საჭმელსა და სხვა ყველაფერს. მაგრამ მამაჩემი თუ იქ გადაბარგდა, ჩვენ როგორღა წავალთ?

ენიმ წერილი წაიკითხა. ის ჯორჯის დედას გამოეგზავნა.

*ჩემო ძვირფასო ჯორჯ,
ვფიქრობ, დაუყოვნებლივ უნდა გაცნობო, რომ მამა-
შენი ცოტა ხნით კირინის კუნძულზე გადასახლებას
აპირებს, რათა ზოგიერთ მნიშვნელოვან ექსპე-
რიმენტზე მუშაობა დაასრულოს. იქ რაღაც შენო-*

ბის აღმართვა მოუწევს – კოშკის, თუ არ ვცდები. როგორც ჩანს, მას სრული სიმშვიდე და სიმარტოვე სჭირდება, ამასთან, ისეთი ადგილი, სადაც გარშემო სულ წყალია – მისი ექსპერიმენტი აუცილებლად წყლით გარშემორტყმულ ადგილას უნდა ჩატარდეს.

გთხოვ, ძვირფასო, ამის გამო ნუ გაჯავრდები. ვიცი, რომ კირინის კუნძული შენს კუთვნილებად მიგაჩნია, მაგრამ იქაურობა შენს ოჯახსაც უნდა დაუთმო, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ისეთ მნიშვნელოვან რამეს ეხება, როგორც მამაშენის სამეცნიერო შრომაა. მამა დარწმუნებულია, რომ სიამოვნებით დაუთმობ კუნძულს, მაგრამ მე მშვენივრად ვიცი, ამ საკითხს როგორც უყურებ და ამიტომაც გწერ ნინასწარ, რომ, როცა შინ დაბრუნდები და კუნძულზე გადაბარებულ მამაშენსა და იქ აშენებულ კოშკს აღმოაჩენ, არ გაგიკვირდეს...

წერილში სხვა რამეებიც ეწერა, მაგრამ ენის დანარჩენი აღარ ნაუკითხავს. მან ჯორჯს შეხედა:

– ოჰ, ჯორჯ! ვერ ვხვდები, რატომ არ გინდა, მამაშენს ცოტა ხნით კირინის კუნძული დაუთმო! მე ვინ მომცა, თორემ საკუთარი კუნძული რომ მქონდეს, დროებით აუცილებლად დაუთმობდი მამაჩემს!

– მამაშენი ჯერ შენ დაგელაპარაკებოდა და ნებართვას გთხოვდა, გაიგებდა, ნინაალმდეგი იქნებოდი თუ არა, – კუშტად უთხრა ჯორჯმა, – მამაჩემი კი ასე არასდროს იქცევა. ყოველთვის მხოლოდ იმას აკეთებს, რაც თვითონ უნდა. არავის არაფერს ეკითხება. ვფიქრობ, ჩემთვის მას უნდა მოეწერა და არა დედას. ძალიან გაბრაზებული ვარ!

– შენ იოლად ბრაზდები, ჯორჯ, – სიცილით უთხრა ენიმ, – ასე ნუ მიბლვერ. მე კი არ ვაპირებ შენს კუნძულზე უნებართვოდ დასახლებას.

მაგრამ ჯორჯს სულ არ ეცინებოდა. ენის წერილი გამოართვა და მოლუშულმა გადაიკითხა.

– არდადეგებისთვის იმდენი რამ დავგეგმე და თურმე სულ ტყუილად! – ჩაიზულუნა მან, – არადა, სააღდგომოდ კირინის კუნძული ისეთი ლამაზია, აყვავებული ფურისულებითა და ღვივებით, აქეთ-იქით მორბენალი პანია ბაჭიებით... თან შენ, დიკი და ჯულიენიც აპირებთ ჩამოსვლას, ჩვენ კი შარშანდელი ზაფხულის მერე დრო ერთად აღარ გაგვიტარებია.

– ვიცი. სამწუხაროა! – დაეთანხმა ენი, – ამ არდადეგებზე კირინის კუნძულზე ცხოვრება ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ ხომ შეიძლება, ჩვენც შევეუერთდეთ მამაშენს? მგონი, თუ არ შევანუხებთ, წინააღმდეგი არ იქნება.

– მამაჩემიც თუ კირინის კუნძულზე იცხოვრებს, მაშინ იქ ყოფნას რალა აზრი აქვს? – აგდებულად წამოიძახა ჯორჯმა, – მშვენივრად იცი, რომ ყველაფერს ჩავვაშხამებს.

დიახ, ენიმ კარგად იცოდა, რომ ძია კვენტინი მათ ყველანაირ ხალისს დაუკარგავდა. ჯორჯის მამა ძალიან ფიცხი და ბრაზიანი კაცი იყო, ხოლო როცა რომელიმე მნიშვნელოვან ექსპერიმენტზე მუშაობდა, სულ მთლად აუტანელი ხდებოდა. მცირე ხმაურიც კი აღიზიანებდა.

– ჰა-ჰა, წარმომიდგენია, ჭკებს რომ ყვირილს დაუნყებს, გაჩუმიდითო, და ხმაურიან თოლიებს დაულრიალებს! – ახითხითდა ენი, – კირინის კუნძული ისეთი ჩუმი სულაც არ მოეჩვენება, როგორიც ჰგონია!

ჯორჯმა უხალისოდ გაიღიმა, წერილი დაკეცა და მიტრიალდა.

– ვფიქრობ, ეს უკვე ყოველგვარ საზღვრებს სცილდება, – თქვა მან, – ასე არ გავბრაზდებოდი, მამას ნებართვა რომ ეთხოვა.

– ხომ იცი, რომ ეს აზრადაც არ მოუვიდოდა! – შენიშნა ენიმ, – ჯორჯ, გთხოვ, ამის გამო მთელი დღე დაღონებული ნუ ივლი. აჯობებს, ტიმი გამოიყვანო ვოლიერიდან, ის უცბად გაგამხიარულებს.

ტიმოთი ჯორჯის დიდი, ყავისფერბენვიანი ძაღლი იყო, რომელიც გოგოს მთელი გულით უყვარდა. ტიმს უჩვეულოდ გრძელი კუდი და ისეთი ფართო პირი ჰქონდა, იფიქრებდით, იცინისო. ტიმი ოთხივე ბავშვს უყვარდა, ისეთი მეგობრული, ალერსიანი, ენერგიული და მხიარული იყო... თანაც მათ მრავალ თავგადასავალშიც მონაწილეობდა. ხუთეული ერთად ყოველთვის კარგად ერთობოდა.

ჯორჯი ტიმის გამოსაყვანად წავიდა. ამ სკოლაში მოსწავლეებს შინაური ცხოველების ყოლის უფლება ჰქონდათ. ასე რომ არ ყოფილიყო, ჯორჯი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა სკოლა-ინტერნატში სწავლაზე!

ჯორჯის მიახლოებისთანავე ტიმი სიხარულით აყეფდა. გოგომ შუბლი გახსნა და გაიღიმა. მისი ძვირფასი და ერთგული მეგობარი ტიმი – ის ყველას სჯობდა! ძაღლი ყოველთვის ჯორჯს ემხრობოდა, რაც უნდა ჩაედინა მას. თავად ტიმსაც ჯორჯზე უფრო შესანიშნავი ვინმე მთელ მსოფლიოში არ ეგულებოდა.

ჯორჯი და ტიმი მინდვრებზე სასეირნოდ წავიდნენ. როგორც ყოველთვის, ჯორჯი ტიმს ელაპარაკებოდა. უამბო, მამამისი დროებით კირინის კუნძულზე დასახლებას რომ აპირებდა. ტიმი ისე გულდასმით უსმენდა, თითქოს ყველაფერს იგებდა და პატრონს მაშინაც არ მოსცილებია, როცა ბილიკზე

კურდღელმა გადაურბინათ. ტიმი ყოველთვის ხვდებოდა, როცა ჯორჯს რამე ანუხებდა. ამიტომ დროდადრო ხელზე მსუბუქად უსვამდა ენას.

როცა ჯორჯი სკოლაში დაბრუნდა, თავს უკვე ბევრად უკეთ გრძნობდა. გვერდითა კარიდან ტიმი სკოლაში შეაპარა. საერთოდ, ძაღლების სკოლის შენობაში შეყვანა იკრძალებოდა, მაგრამ ხანდახან ჯორჯი, მამამისივით, რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა.

მან ტიმი სასწრაფოდ საერთო საძინებლისკენ წაიყვანა. ძაღლი სანოლის ქვეშ შეძვრა, ძირს განვა და კუდი მსუბუქად დააბაგუნა იატაკზე. მშვენივრად იცოდა, რატომაც შემოიყვანეს აქ – იმ ღამით ჯორჯს მისი სიახლოვე სჭირდებოდა! როცა საძინებელში შუქს ჩააქრობდნენ, სანოლზე აძვრებოდა და პატრონის მუხლებთან მყუდროდ მოეწყობოდა. ტიმს სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა.

– ჩუმად ინექი, – უთხრა ჯორჯმა და ოთახიდან გავიდა. მან ენი იპოვა, რომელიც თავის ძმებს, დიკსა და ჯულიენს, წერილს სწერდა – ისინი ვაჟთა სკოლა-ინტერნატში სწავლობდნენ.

– მათაც ვაცნობებ, რომ კირინის კუნძულზე დროებით ძია კვენტინი აპირებს ცხოვრებას, – უთხრა ენიმ ჯორჯს, – ისე, ამ არდადეგებზე პირიქით, შენ ხომ არ ჩამოხვიდოდი ჩვენთან, ჯორჯ? მამაშენის შენს კუნძულზე ყოფნის გამოც აღარ იჯავრებ!

– არა, გმადლობ, – მაშინვე იუარა ჯორჯმა, – შინ წავალ. მამაჩემს თვალი უნდა ვადევნო! სულაც არ მინდა, მორიგი ექსპერიმენტის ჩატარებისას მთელი კირინის კუნძული ააფეთქოს. ამ ბოლო დროს ასაფეთქებლებითაა დაინტერესებული.

– ოჰო! ატომური ბომბითა და ეგეთი რამეებით? – ჰკითხა ენიმ.

– ზუსტად არ ვიცი, – უპასუხა ჯორჯმა, – გარდა იმისა, რომ მამაჩემსა და ჩემს კუნძულს თვალი უნდა ვადევნო, კირინში იმისთვისაც უნდა ნავიდეთ, რომ დედა სულ მარტო არ დარჩეს, როცა მამა კუნძულზე გადავა. იგი ალბათ საჭმელსა და სხვა ყველაფერსაც წაიღებს კუნძულზე.

– ერთი ისაა კარგი, რომ თუ მამაშენი კირინის კუნძულზე იქნება, ფეხის წვერებზე სიარული და ჩურჩული აღარ მოგვინევს! – შენიშნა ენიმ, – შეგვიძლია ვიხმაუროთ! გამხიარულდი, ჯორჯ!

მაგრამ ჯორჯს დედის წერილით გამოწვეულმა უგუნებობამ კიდევ დიდხანს არ გაუარა. იმანაც კი ვერ ანუგეშა, რომ ტიმს ყოველ ღამე მასთან ერთად ეძინა, სანამ ძალიან ერთხელაც გაბრაზებულმა მასწავლებელმა არ აღმოაჩინა.

სემესტრი მალე მიიწურა. დადგა მზიანი და შხაპუნანვიმებიანი აპრილი. არდადეგები უფრო და უფრო ახლოვდებოდა! ენი უკვე ხშირ-ხშირად იხსენებდა კირინს, მის ლამაზ, ქვიშიან სანაპიროს, ლურჯ ზღვას, მეთევზეთა ნავებსა და კლდის ბილიკებს.

ეს ყველაფერი ჯულიენსა და დიკსაც ენატრებოდათ. გაირკვა, რომ სემესტრი მათაც და გოგოებსაც ერთდროულად უმთავრდებოდათ, ასე რომ, ლონდონში შეკრებასა და იქიდან კირინში ერთად გამგზავრებას შეძლებდნენ. ვაშა!

როგორც იქნა, ეს დღეც მოვიდა და ჰოლში ჩემოდნების ზვინი დადგა. იმ ბავშვებს, რომლებიც სკოლასთან შედარებით ახლოს ცხოვრობდნენ, შინ წასაყვანად მანქანებით მოაკითხეს. დანარჩენებს კი რკინიგზის სადგურში წასაყვანად სკოლის ავტობუსები ელოდა. ყველგან ყვირილი და გადაძახილ-გადმოძახილი ისმოდა. ამ გნიასში მასწავლებლების მითითებები არავის ესმოდა.